ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №73

24.12.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

17:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია,ლევან ჯაფარიძე;

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე - საკრებულოს წევრი**
2. **დავით უთმელიძე - საკრებულოს წევრი**
3. **ვახტანგ შაქარიშვილი - საკრებულოს წევრი**
4. **ნინო რუხაძე - საკრებულოს წევრი**

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 დეკემბრის 12-032034578-03) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 10 დეკემბრის 12-032034578-03) - ოქმს ერთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 050 302 500 ლარით,** რაც 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 021 400 600 ლარი) მიმართებაში გაზრდილია 28 901 900 ლარით, ხოლო 2021 წლის თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 210 000 000 ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

1. **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა** - 174 263 800 ლარი;
2. **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება** - 194 636 500 ლარი;
3. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 148 944 100 ლარი;
4. **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 4 164 400 ლარი;
5. **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 39 157 300 ლარი;
6. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 154 136 000 ლარი;
7. **განათლება** - 175 094 000 ლარი;
8. **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 47 355 800 ლარი;
9. **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 4 402 300 ლარი.
10. **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 108 148 400 ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 020 159 300 ლარის ოდენობით. მათ შორის:

გადასახადები - 657 355 800 ლარი. **აქედან:**

- დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 462 355 800 ლარს.
- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 160 000 000 ლარი (2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 10 000 000 ლარით);
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000 000 ათასი ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი 16 000 000 ლარი.

გრანტები 205 936 100 ლარი (წარდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 200 000 000 ათასი ლარით).

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 476 100 ლარი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს (წარმოდგენილი ევროკომისიის მიერ) შორის 2017 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების „ევროკავშირის გარე მოქმედებები" ENI/2017/394-803-ის ფარგლებში (ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის);
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460 000 ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისთვის);
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 175 000 000 ლარი.
- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 30 000 000 ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000 000 ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში ავტობუსების შესაძენად და ავტობაზის მშენებლობისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 25 000 000 ლარი).

სხვა შემოსავლები 156 867 400 ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 8 600 000 ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 25 000 000 ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000 000 ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) 55 000 000 ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები – 20 267 400 ლარი.

ჯამში სხვა შემოსავლები 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 46 130 000 ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები -

განსაზღვრულია 782 466 400 ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 72 784 200 ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 131 892 200 ლარი, პროცენტი 7 651 000 ლარი, სუბსიდიები 275 604 600 ლარი, გრანტები 506 800 ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 149 499 400 ლარი, სხვა ხარჯები - 144 528 100 ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

წარმოდგენილი პროექტით **არაფინანსური აქტივების ცვლილება** შეადგენს - 222 228 500 ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა – 252 228 500 ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლება - 30 000 000 ლარი (წარმოდგენილ პროექტთან შედარებით გაზრდილია 10 000 000 ლარით).

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 143 200 ლარს;

– ფინანსური აქტივების კლება – 143 200 ლარი.

2021 წლისათვის **ვალდებულებების ცვლილება** შეადგენს 15 607 600 ლარს, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას მოიცავს.

2021 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 15 464 400 ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე:

1. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** (კოდი: 03) - ფინანსდება 148 944 100 ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (106 218 400 ლარი) შედარებით **გაზრდილია 42 725 700 ლარით.**

   პრიორიტეტის ფარგლებში:

   - **გამწვანების ღონისძიებებისათვის** (კოდი: 03 01) გათვალისწინებულია 74 298 000 ლარი, მათ შორის სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის 41 773 200 ლარი (ვაკის პარკის რეაბილიტაცია, ზღვის უბნის (დენდროლოგიური) პარკის მოწყობა და ვარკეთილის II მ/რ-ში ურბანული პარკის რეაბილიტაცია-მშენებლობა), მცენარეთა შესყიდვა-დარგვა - 10 008 700 ლარი, ეკოსერვის ჯგუფის ფუნქციონირების ხარჯები 17 800 000 ლარი.
   - **დასუფთავების ღონისძიებებისათვის** (კოდი: 03 02) გათვალისწინებულია 65 854 000 ლარი, მათ შორის თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად 5 000 000 ლარი.
   - **თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა**

(კოდი: 03 03) - ფინანსდება 8 792 100 ლარით.

2. **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** (კოდი: 09). პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა - **ცხოველთა მონიტორინგი** (კოდი: 09 02) - 3 585 200 ლარით.

მომხსენებლის მიერ ინფორმაციის წარდგენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვა დასვა:

ბ.მა გ. დოხტურიშვილმა, რომელიც დაინტერესდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის (კოდი 03) დაფინანსებასთან (რომელიც შედაგენს: 117 487 200 ლარს) შედარებით 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით,ამავე პრიორიტეტის 31 465 900 ლარით ზრდა რით არის განპირობებული და კონრეტულად რომელი პროგრამებისა და პროექტების დაფინანსებას ითვალისწინებს.

დასმულ შეკითხვას, პასუხი გასცა მომხსენებელმა ბატონმა გ.თალაკვაძემ, რომლის ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მატება გადანაწილდება ახალი ბაღ-სკვერების მშენებლობებზე.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, სხვა შეკითხვა და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 10 დეკემბრის **№12-032034578-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 10 დეკემბრის **№12-032034578-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შეთანხმებულია:

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი